# საქართველოს მექანიკოსთა კავშირის
# II ყოველწლიური კონფერენცია

ეძღვნება ილია ვეკუას დაბადებიდან 105 წლის იუბილეს

## მეორე ინფორმაცია

2011 წლის 15-17 დეკემბერს და 2012 წლის 16 იანვარს ტარდება საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მეორე ყოველწლიური კონფერენცია ქ. თბილისში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში.

კონფერენციის თემატიკა:

1. მყარ დეფორმად სხეულთა მექანიკა;
2. ჰიდროაერომექანიკა;
3. დრეკად მყარ და თხევად გარემოთა ურთიერთქმედების პრობლემები;
4. ანალიზის მონათესავე საკითხები.

დაგეგმილია 35 წუთიანი მიმოხილვითი მოხსენებების და კონკრეტულ შედეგთან დაკავშირებული 20 წუთიანი მოხსენებების გაკეთება. მიმოხილვითი მოხსენებები უნდა ეძღვნებოდეს გარკვეულ დარგში გარკვეულ ეტაპზე მიღწეულ სამეცნიერო შედეგებს და მათში ქართველ მეცნიერთა წვლილს.

კონფერენციის ვებ-გვერდის მისამართია: http://www.viam.science.tsu.ge/others/gnctam/annual2.htm

**სამეცნიერო კომიტეტი:**

აგალოვიანი ლენსერი (სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის ინსტიტუტი, სომხეთი)

ალტენბახი ჰოლმი (მაგდენბურგის უნივერსიტეტი, გერმანია)

ბანცური რევაზი (თსუ ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი)

გაბრიჩიძე გურამი (კ. ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობისა და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი)

გედენიძე ზურაბი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

გორდეზიანი დავითი (თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი)

გულუა ბაკური, სწავლული მდივანი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

გურან არდეშირი (კანადა; ლინცის უნივერსიტეტი, ავსტრია)

დანელია დემური (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

ვაშაყმაძე თამაზი (თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი)
კვიციანი ტარიელი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
მოწონელიძე არჩილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
პატარაია დავითი (გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი)
ყიფიანი გელა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
შარიქაძე ჯონდო (თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი)
ჩინჩალაძე ნატალია (თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი)
ჯაიანი გიორგი, თავმჯდომარე (თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი)

**საორგანიზაციო კომიტეტი:**

აფციაური ამირანი (ქუთაისის ეროვნული უნივერსიტეტი)
ავაზაშვილი ნიკოლოზი (თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი)
გულუა ბაკური, თავმჯდომარის მოადგილე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
დიდმანიძე იბრაიმი (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
თვალჭრელიძე ავთანდილი (ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
ნოზაძე გიორგი (გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი)
რუხაია ხიმური (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
ქაჯაია ლალი, სწავლული მდივანი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
ყიფიანი გელა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
შარიქაძე მერი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
ჩინჩალაძე ნატალია, თავმჯდომარე (თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი)
ცუცქირიძე ვარდენი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

მონაწილეობის მიღების მსურველებმა ა.წ. 25 ნოემბრამდე უნდა მიაწოდონ მოხსენების სათაური და მოკლე ანოტაცია ლალი ქაჯაიას (e-mail: qajaia@gmail.com). მოხსენების თეზისი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე თანდართული შაბლონების შესაბამისად და თითოეული არ უნდა აღემატებოდეს A5 ფორმატის ორ გვერდს (ქართულ ენაზე წარმოდგენილი თეზისის სათაური აკრეფილი უნდა იყოს AcadMtavr შრიფტის გამოყენებით 11 pt. ზომის ასოებით; ავტორი - AcadNusx, 11 pt.; მისამართი - AcadNusx, 10 pt.; ტექსტი - AcadNusx, 11 pt. ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი თეზისის სათაური, ავტორის

სახელი და გვარი, ტექსტის ზომა უნდა იყოს 11 pt., შრიფტი Times New Roman, სამუშაო ადგილი და მისამართი - 10 pt. გთხოვთ, შაბლონში ნუ შეცვლით ფურცლის და მინდვრის ზომებს). ვვარაუდობთ სამეცნიერო კომიტეტის მიერ შერჩეულ მოხსენებათა ანოტაციების წინასწარ გამოცემას და კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენებების შერჩევით, რეცენზირების შემდეგ, გამოქვეყნებას ჟურნალებში: Applied Mathematics, Informatics, and Mechanics (http://www.viam.science.tsu.ge/Ami/Main.htm) და Bulletin of TICMI (http://www.viam.science.tsu.ge/others/ticmi/blt/bulletin.htm, http://www.emis.de/journals/ticmi/blt/bulletin.htm).

კონფერენციის სარეგისტრაციო შესატანია 50 ლარი (კავშირის წევრებისათვის 30 ლარი).

სარეგისტრაციო შესატანი შეიძლება ჩარიცხულ იქნეს თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში საქართველოს ეროვნული კომიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

**მიმღები ბანკი:** სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“; **ბანკის კოდი:** BAGAGE22

**მიმღების დასახელება:** კავშირი „თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში საქართველოს ეროვნული კომიტეტი“

**მიმღების ანგარიშის ნომერი:** GE26BG0000000181896100

**თანხის დანიშნულება:** მონაწილის (სახელი, გვარი) სარეგისტრაციო შესატანი 50 (ან 30) ლარი.

**კონფერენციის შემდგომი ტურები მსურველთათვის:**

**ღვინის ტური კახეთში:** 17 დეკემბერი, ფასი 50 ევრო.

**ტურში შედის:** სიღნაღში გასეირნება, ღვინის დეგუსტაცია ხოხბის ცრემლების მარანში, წინანდალის მუზეუმის დათვალიერება და 1 ჭიქა ღვინის დეგუსტაცია, თელიანი ველის ღვინის ქარხნის დათვალიერება და 1 ჭიქა ღვინის დეგუსტაცია, გურჯაანში ალიაშვილების მარანში ჭაჭის გამოხდა და ჩურჩხელების ამოვლება. ტრადიციული ქართული სუფრა.

**სათხილამურო ტური გუდაურში:** 17, 18 დეკემბერი, 2011

**ერთდღიანი ტური:** 17 დეკემბერი, 2011; **სავარაუდო ფასი ერთ კაცზე:** 130 აშშ დოლარი „ანანური“-ს ისტორიული-არქიტექტურული ანსამბლის ნახვა, ჩასვლა ალპური სათხილამურო კურორტ გუდაურში, სადილი, თხილამურებით სრიალი, საღამოს თბილისში დაბრუნება.

**ორდღიანი ტური:** 17-18 დეკემბერი, 2011; **სავარაუდო ფასი ერთ კაცზე:** 215 აშშ დოლარი

**პირველი დღე:**

„ანანური“-ს ისტორიული-არქიტექტურული ანსამბლის ნახვა, ჩასვლა ალპური სათხილამურო კურორტ გუდაურში, რეგისტრაცია სასტუმრო „პანორამაში“ თხილამურებით სრიალი

მეორე დღე:
საუზმე, თხილამურებით სრიალი, გამომგზავრება თბილისში
**ფასში შედის** სასტუმროს ღირებულება ერთი ღამით ორადგილიან ნომერში, ვახშამი და საუზმე